საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) - კომპანიის პროფილი

2015 წელს „მწვანე ალტერნატივამ“ გამოსცა ანგარიში „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში“; 2017 წლის დასაწყისში გამოიცა ანგარიშის განახლებული ვერსია. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას შევაფასეთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობა და მოვამზადეთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული საწარმოს პროფილი. ესენია: (1) არემჯი (2) ჯორჯიან მანგანეზი (3) საქნახშირი; და (4) ჰაიდელბერგცემენტი. ეს დოკუმენტი საქნახშირის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

საქნახშირი

ტყიბულში ქვანახშირის საბადო 1825 წელს აღმოაჩინეს. 1847 წლიდან უკვე საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო. 1950-იან წლებში, ოთხ შახტაში ქვანახშირის მოპოვებამ წელიწადში 3 მილიონ ტონას გადააჭარბა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება შეწყდა. დღეისათვის ტყიბულში ორი შახტაა მოქმედი - მინდელის და ძიძიგურის სახელობის. 2006 წლიდან ტყიბულის ქვანახშირის საბადოსზე წიაღისეულის მოპოვების უფლებას და ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკას შპს „საქნახშირი“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) ფლობს.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, შპს „საქნახშირის“ მფლობელი შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფია“, რომელიც საქნახშირის გარდა ფლობს: საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას, შპს „მტკვარი ენერჯის“, შპს „სიპაუერს“, უძრავი ქონების მართვის კომპანია “ტიფლის სითის”, შპს “ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანას", სს “ქართული ლუდის კომპანიას”, შპს „გლობალტრანსს“, „ნეოგაზს“, "ევროპული სკოლა", სს “ქართული ლუდის კომპანია”, "კიოტო", შპს „გლობალ ტრანსი", შპს "საქინვესტი", შპს ,,ინდუსტრია კირი“.

„ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ კი, ფლობს მარშალის კუნძულების ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული შპს „ჩემექსიმ ინტერნეშენალი“, რომელსაც კომპანიის ვებ-გვერდზე 2015 წელს განთავსებული (ამჟამად დოკუმნეტი აღარ არის ხელმისაწვდომი) დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის თანახმად, მართავს და განაგებს საქართველოს ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრი დავით ბეჟუაშვილი[1]. კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში 2017 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული ცვლილების თანახმად, დავით ბეჟუაშვილმა „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია დაიკავა.

კომპანიის არა-აღმასრულებელი დირექტორია დავით ბეჟუაშვილის ძმა, გელა ბეჟუაშვილი (ყოფილი: 2004 წელს თავდაცვის მინისტრი, 2004-2005 - საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, 2005-2008 - საგარეო საქმეთა მინისტრი, 2008-2014 - დაზვერვის სამსახურის უფროსი და ა.შ), რომელიც პარალელურად არის HeidelbergCement Georgia-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

[1] ‘Chemexim International Limited is controlled by Mr. David Bejhuashvili, who is the ultimate controlling party of the Group“, საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) – ნახშირის მოპოვების სექტორი, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2014 წელი

წლების განმავლობაში ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მეშახტეთა დაშავების (ხშირ შემთხვევაში სასიკვდილო ტრავმების) საგანგაშო სტატისტიკაა. თუმცა, ყველა შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელობის განცხადებით, უბედური შემთხვევების მიზეზი თავად დაშავებულთა გაუფრთილებლობაა[2].

ტყიბული გარემოსდაცვითი მდგომარეობის თვალსაზრისით ქვეყნის ერთ-ერთი საგანგაშო ცხელი წერტილია[3]. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2013-2014 წლების ანგარიშის თანახმად, შპს საქნახშირის (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევით ფუნქციონირების შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 3 170 760 ლარი შეადგინა.

„ჩვენს შესახებ“

შპს „საქნახშირის“ შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მფლობელის - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის (GIG) ვებ-გვერდზე - www.gig.ge.

ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, *„არის რა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანია, საქნახშირი (ითარგმნება როგორც ქართული ნახშირი) ნახშირის ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა საქართველოში. კომპანია ახორციელებს ისეთ ოპერაციებს როგორიცაა ნახშირის მოპოვება, ნახშირის ტრანსპორტირება და ნახშირის გამდიდრება, და ასევე ელექტროენერგიის გენერაცია. ამჟამად მოქმედებს ორი ნახშირის საბადო, მინდელი და ძიძიგური. ორივე წარმოადგენს ტყიბული-შაორის ქვანახშირის აუზის ნაწილს, რომელიც მდებარეობს იმერეთის მთიან რეგიონში რაჭის (საქართველოს დასავლეთი მხარე) საზღვართან ახლოს. ეს კომპანია მოიპოვებს ქვანახშირს მიწისქვეშა ოპერაციების საშუალებით. ეს ნახშირი არის ბიტუმინოზური ტიპის ნახშირი ადვილად აქროლადი ნივთირებების საშუალო შემცველობით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობის მეთანს. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის შესაბამისად ნახშირის მთლიანი მოცულობა შეადგენს 331 მილიონ მეტრიკულ ტონას“. ... „მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი აპირებს მნიშვნელოვნად გაზარდოს ნახშირის წარმოება, რადგან საბადოს შეუძლია აწარმოოს დაახლოებით 1 მილიონი მეტრიკული ტონა ნახშირი წელიწადში. ამჟამად ნახშირის ყოველწლიური გაამოშვებ დაახლოებით 350,000 ტონაა. რადგან ნახშირის უმეტესობა ამჟამად გამოიყენება ცემენტის ადგილობრივ წარმოებაში, მომავალში ამ ნახშირის უმეტესი ნაწილი გადაეგზავნება თანამედროვე 300 მვტ-იან ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურს გარდაბანში, რომელსაც აშენებს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანია Cpower და რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2020 წლის ბოლოს“.*

ჩვენს 2015 წლის ანგარიშში ვწერდით, რომ შპს „საქნახშირი“ ერთადერთი გამონაკლისი იყო განხილულ კომპანიებს შორის და იშვიათი გამონაკლისი საქართველოში მოქმედ ინდუსტრიულ საწარმოებს შორის, რომლის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო ყოველწლიური ფინანსური აუდიტის დასკვნები (2007-2014წწ). დაინტერესებულ პირს შეეძლო მიიღო ინფორმაცია:

[2] ტყიბულელი მაღაროელი: „მაღაროში ვირთხებივით დავძვრებით“, 14 ოქტომბერი, 2013, ამერიკის ხმა

[3] საზოგადოებრივი მაუწყებელის გადაცემა“ რეალური სივრცე“ – „ტყიბული ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე“

- კომპანიის მფლობელის შესახებ;
- კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ;
- კომპანიის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების შესახებ და ლიცენზიების ფარგლებში მოპოვებული რესურსის ოდენობის შესახებ;
- განხორცილებული ინვესტიციებისა და აღებული სესხების შესახებ;
- კომპანიის მიერ დასაქმებულ პირებზე გაცემული თანხების შესახებ;
- კონტრაქტორებზე გაცემული თანხების შესახებ;
- მფლობელების სარგებელის ოდენობის შესახებ;
- გადასახადების ოდენობის შესახებ და ა.შ.

ასევე, ვებ-გვერდის ინვესტორებისათვის განკუთვნილ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო უახლესი ინფორმაცია კომპანიის ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობისა და პერსპექტივის შესახებ.

ეს ინფორმაცია კომპანიის ვებ-გვერდზე აღარ არის წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ კომპანიის ვებ-გვერდზე 2015 წელსაც იყო და დღესაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ფარგლებში არსებული მარაგების შესახებ.

დატოვე შენი მწვანე კვალი

კომპანიის ვებ-გვერდზე არის სპეციალური განყოფილება, რომელსაც ეწოდება „დატოვე შენი მწვანე კვალი“. თავშივე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კომპანიების მსგავსად, საქნახშირიც არ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ.

კომპანიის ვებ-გვერდზე აღნიშნულია: „„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ უერთდება გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივას და ლიდერობას, რომლის თანახმადაც ივნისი [2014], წლის ,,მწვანე თვედ“ გამოცხადდა. აქციის ფარგლებში საქნახშირი მთელი თვის განმავლობაში, ყოველკვირეულ სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს. კომპანია საქნახშირი ,,დატოვე შენი მწვანე კვალის“ ფარგლებში საგანმანათლებლო-შემეცნებითი, გამწვანების, მოვლა-აღდგენითი, დასუფთავებისა და გამწვანების აქციებს აწყობს. ღონისნისძიებებში აქტიურად არიან ჩართულები ტყიბულელი მეშახტეები და მათი ოჯახის ყველაზე პატარა წევრები. ,,საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ ასევე ტრადიციულად აგრძელებს, იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც კომპანიის მიერ წლის გარემოს დაცვითი სამოქმედო გეგმის ფარგლებშია გათვალისწინებული“.

ზემოთმოყვანილი ციტატიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპანიას გააჩნია „გარემოსდაცვითი წლის სამოქმედო გეგმა“, რომელიც საზოგადოებისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

ასევე, კომპანიის ვებ-გვერდზე არის სპეციალური განყოფილება სახელწოდებით „გარემო“. უკანასკნელი სიახლე ამ განყოფილებაში ასე გამოიყურება: „"დატოვე შენი მწვანე კვალი" - 'საქნახშირი ჯი-აი-ჯის" მწვანე აქცია ტყიბულშია, 24 ოქტომბერს "ტყიბულის თესის" ტერიტორიაზე 50 ძირი კიპარისი დავრგეთ. მიმდინარე წლის განმავლობაში 250 ნერგი გავახარეთ ტყიბულში.

კომპანიისთვის ქალაქის სხვადასხვა უბნის გამწვანების აქციები უკვე ტრადიციაა“. დანარჩენი რამდენიმე სიახლეც კვიპაროსების დარგვას ან მაკულატურის შეგროვებას ეხება.

სოციალური პროექტები

კომპანიის ვებ-გვერდის თანახმად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის, ენერგეტიკისა და სამთო-ინჟინერიის ფაკულტეტების 12 წარჩინებული სტუდენტი უკვე სამი წელია „ჯი-აი-ჯი“ ჯგუფის სტიპენდიანტია.

ვებ-გვერდის თანახმად, ჯი-აი-ჯი აფინანსებს სპორტსმენებს, კერძოდ: საქნახშირმა ტყიბულის საფეხბურთო გუნდს ,,მეშახტე“ ახალი ფორმები შეუძინა. 2012 წელს კომპანიამ ადგილობრივ საწვრთნელ ბაზაზე სარემონტო სამუშაობი დააფინანსა; ხოლო, 2011 წლის განმავლობაში კი კომპანია საფეხბურთო გუნდის თითოეულ წევრს ხუთი ათასი ლარით აფინასებდა.

ასევე, კომპანიამ ტყიბულის მუნიციპალიტეტთან არსებული მოზარდ კალათბურთელთა გუნდს ფინანსური დახმარება გაუწია.

ცალკე გრაფაშია წარმოდგენილი კომპანიის საქველმოქმედო აქციები, მაგალითად: - ტრადიციული საახალწლო აქცია, რომლის ფარგლებშიც, კომპანია თავის პარტნიორებსა და მეგობრებს ახალ წელს, წეროვანში მცხოვრები დევნილი ბავშვების ხელნაკეთი თექის საახალწლო სათამაშოებით ულოცავს; - კომპანია ეხმარება საქველმოქმედო ორგანიზცია „კათარზის“, მონაწილეობს ტყიბულის გამგეობის სოციალური მომსახურების სააგენტოს შესასვლელთან პანდუსის დამოტაჟებაში და ა.შ.

დოკუმენტი მომზადებულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ადვოკატირება ბუნებრივი რესურსების გამჭირვალე და ანგარიშვალდებული მართვისათვის საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნას ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2017

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 222 15 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG